საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 04/374
30.06.2023

ბრძანება

374-01-4-202306301516

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 7 თებერვლის N 04/57 ბრძანების შესაბამისად, შპს „დილსი“-ს (ს/ნ 442264292) მიერ სააგენტოს გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის გამო ჯარიმის დაკისრების თაობაზე

1. ფაქტობრივი გარემოებები

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო), შპს „დილსი“-ს (ს/ნ 442264292) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე წარმოდგენილი იქნა მოქალაქე (პ/ნ [illegible] 2022 წლის 7 ნოემბრის №01/1985, მოქალაქე [illegible] პ/ნ [illegible] 2022 წლის 17 ნოემბრის №01/2069 (2022 წლის 22 ნოემბრის №01/2099 დაზუსტებული განცხადება), მოქალაქე (პ/ნ [illegible] 2022 წლის 29 ნოემბრის №01/2166, მოქალაქე (პ/ნ [illegible] 2022 წლის 2 დეკემბრის №01/2208 (2022 წლის 5 დეკემბრის N01/2222 დაზუსტებული განცხადება), მოქალაქე ს (პ/ნ [illegible] 2022 წლის 7 დეკემბრის №01/2252 მოქალაქე (პ/ნ [illegible] 2022 წლის 23 დეკემბრის №01/2452, მოქალაქე (პ/ნ [illegible]) 2023 წლის 9 იანვრის №01/46, მოქალაქე (პ/ნ [illegible]) 2023 წლის 10 იანვრის №01/59, მოქალაქე (პ/ნ [illegible] 2023 წლის 10 იანვრის №01/54 და მოქალაქე (პ/ნ 0[illegible] 2023 წლის 12 იანვრის №01/112 განცხადებები.

ზემოაღნიშნული განცხადებების საფუძველზე სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ საქმის შესწავლა დაიწყო სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 24 ნოემბრის N04/248, 2022 წლის 9 დეკემბრის N04/281 და 2022 წლის 27 დეკემბრის N04/314 ბრძანებებით.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 7 თებერვლის N04/57 ბრძანებით დადასტურდა შპს „დილსი“-ს (ს/ნ 442264292) მხრიდან „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-7 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების, მე-10 მუხლის, მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-13 მუხლის, მე15 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-17 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების დარღვევის ფაქტი და კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, შპს „დილსი“-ს (ს/ნ 442264292) დაევალა მომხმარებელთა დარღვეული უფლებების აღდგენა და თავისი სავაჭრო პოლიტიკის კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 7 თებერვლის N04/57 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება შპს „დილსი“-ს (ს/ნ 442264292) გაეგზავნა სარეგისტრაციო დოკუმენტებსა და (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერში) მითითებულ მისამართსა და ელექტრონული ფოსტის მისამართზე (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ.ლესიჭინე 56-ე ქ.N7, ელ-ფოსტა: natiasichi000@gmail.com), აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს - სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით, მაგრამ სააგენტოს გადაწყვეტილების ჩაბარება ვერცერთი საშუალებით ვერ მოხერხდა.

ასევე, სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს საქმისწარმოების მასალები გაეგზავნა სააგენტოსთვის ცნობილ მისამართზე, რომლიც შესახებ ინფორმაცია შპს „დილსი“-ს (ს/ნ 442264292) დირექტორმა ნათია სიჭინავამ ელ-ფოსტიდან natiasichi000@gmail.com, სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის ელ-ფოსტაზე: consumer@gnca.gov.ge გამოაგზავნა. თუმცა, სააგენტოს მცდელობის მიუხედავად, ჩაბარება ვერც ამ მისამართზე მოხერხდა.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ საქმის შესწავლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მოვაჭრეს. თუ მოვაჭრისთვის გადაწყვეტილების ჩაბარება ვერ განხორციელდა ამ წესის მე-16 მუხლით

დადგენილი ფორმით, გადაწყვეტილება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (https://gnca.gov.ge/index.php?m=2) გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 7 თებერვლის N04/57 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 2023 წლის 8 თებერვალს. პროცედურის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება ჩაბარებულად ჩაითვალა 2023 წლის 8 აპრილს. სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 7 თებერვლის N04/57 ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტის საფუძველზე, შპს „დილსი“ (ს/ნ 442264292) ვალდებული იყო ბრძანების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნულის თაობაზე 1 თვიანი ვადის გასვლიდან 5 სამუშო დღის განმავლობაში (2023 წლის 15 მაისის ჩათვლით) ეცნობებინა სააგენტოსთვის.

აღსანიშნავია, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 7 თებერვლის N04/57 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. გარდა ამისა, სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის მიერ შემოწმებულ იქნა სოციალურ ქსელ Facebook-ზე არსებული მოვაჭრის სავაჭრო გვერდზე „დილსი.dilsi” განთავსებული სავაჭრო პოლიტიკა. მოვაჭრემ სავაჭრო პოლიტიკა შესაბამისობაში არ მოიყვანა კანონის მოთხოვნებთან.

რაც შეეხება იმ მომხმარებელთა უფლებების აღდგენას, რომელთაც მოვაჭრის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად კანონით გათვალისწინებული უფლებები დაერღვათ, მოვაჭრეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება რომლითაც დადგინდებოდა მომხმარებელებისთვის დარღვეული უფლებების აღდგენის ფაქტი.

კანონის 35-ე მუხლის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. დარღვევის დადგენის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააგენტოს არ ართმევს უფლებას, განახორციელოს ამ კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და მოვაჭრეს დააკისროს შესაბამისი ჯარიმა. აღსანიშნავია, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 7 თებერვლის N04/57 ბრძანების გასაჩივრების ვადა გავიდა 2023 წლის 9 მაისს. სააგენტოს ხელთ არსებული მტკიცებულებებით აღნიშნული ბრძანება არ არის გასაჩივრებული.

კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 17 მაისის N03/340 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სააგენტომ დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ჯარიმის დაკისრების მიზნით.

3. ნორმატიული რეგულირება

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-17 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სააგენტო მიერ საქმის შესწავლის დაწყების შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში სააგენტოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს აკისრებს ჯარიმას კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად. ასევე, პროცედურის მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების, მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს დაეკისრება ჯარიმა. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს და პროცედურის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტების თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა.

4. სამოტივაციო ნაწილი

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 7 თებერვლის N04/57 ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტის საფუძველზე, შპს „დილსი“ (ს/ნ 442264292) ვალდებული იყო ბრძანების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნულის თაობაზე 1 თვიანი ვადის გასვლიდან 5 სამუშო დღის განმავლობაში (2023 წლის 15 მაისის ჩათვლით) ეცნობებინა სააგენტოსთვის. კანონის 35-ე მუხლის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. დარღვევის დადგენის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააგენტოს არ ართმევს უფლებას, განახორციელოს ამ კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და მოვაჭრეს დააკისროს შესაბამისი ჯარიმა.

კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. აღსანიშნავია, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 7 თებერვლის N04/57 ბრძანების გასაჩივრების ვადა გავიდა 2023 წლის 9 მაისს. სააგენტოს ხელთ არსებული მტკიცებულებებით აღნიშნული ბრძანება არ არის გასაჩივრებული.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 17 მაისის N03/340 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სააგენტომ დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ჯარიმის დაკისრების მიზნით.

მოვაჭრის შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიერ სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 7 თებერვლის N 04/57 ბრძანებით, გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში მოვაჭრისთვის ჯარიმის დაკისრების დროს სააგენტოს მიერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

1. მოვაჭრის შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიერ დარღვევის **მასშტაბის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს დარღვევის გეოგრაფიულ და შინაარსობრივ მასშტაბებსა - დარღვევა მოხდა ადგილობრივად (ლოკალურად, მხოლოდ ერთ რეგიონში) თუ ქვეყნის მასშტაბით და იმ მომხმარებელთა რაოდენობას, რომელთა ინტერესებზეც გავლენას ახდენს ან/და შესაძლოა მოახდინოს დარღვევის შედეგებმა (დარღვევა ვრცელდება

ძალიან ვიწრო წრეზე თუ ფართო წრეზე). სააგენტომ შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიმართ დარღვევის დადასტურების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო 10 (ათი) განცხადების საფუძველზე, რომლიდანაც იკვეთება, რომ მოვაჭრეს შეკვეთა უნდა გაეგზავნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ, თბილისში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში. იმის გათვალისწინებით, რომ მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს დისტანციურად, მთელი საქართველოს მასშტაბით, და აღნიშნული ფაქტები ამას ადასტურებს, დადასტურებული დარღვევის მასშტაბი ვერ იქნება ადგილობრივი ხასიათის და, გარდა საქმეში არსებული მომხმარებლების განცხადებებისა, შპს „დილსი“ (ს/ნ 442264292) მომხმარებლების უფლებებს არღვევს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

2. მოვაჭრე შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიერ დარღვევის **ხასიათის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, დარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ. სააგენტომ შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიმართ დარღვევის დადასტურების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო 10 (ათი) განცხადების საფუძველზე, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს დისტანციურად და შეკვეთას აგზავნის კურიერის მეშვეობით მხარეების მიერ შეთანხმებულ ვადებში მთელი საქართველოს მასშტაბით, მოვაჭრემ 3 მომხმარებელს ვადის დაგვიანებითა და ხელშეკრულების შეუსაბამო საქონელი მიაწოდა, ხოლო 7 შემთხვევაში შეკვეთის მიწოდება საერთოდ არ მომხდარა. მომხმარებლების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოვაჭრე არ ახორციელებს კომერციულ საქმიანობას „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ასევე, მოვაჭრეს არც სააგენტოსთვის და არც მომხმარებლებისთვის არ წარუდგენია მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა რაიმე ობიექტური გარემოების არსებობას, რომელმაც გამოიწვია შეკვეთის შეთანხმებულ ვადებში მიწოდების დარღვევა ან მიუწოდებლობა. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, მოვაჭრის მიერ ზემოაღნიშნული ქმედებები განზრახ იქნა ჩადენილი.

3. მოვაჭრე შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიერ დარღვევის **სიმძიმის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიმუებს: ა) ინტენსივობას; ბ) დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანის სახეს (ქონებრივი); გ) ზიანის ოდენობას; დ) არიან თუ არა დაზარალებულები მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები; ე) მოვაჭრე მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასარიდებლად. სააგენტომ შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიმართ დარღვევის დადასტურების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო 10 (ათი) განცხადების საფუძველზე, რომლით წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს დისტანციურად და შეკვეთას აგზავნის კურიერის მეშვეობით მხარეების მიერ შეთანხმებულ ვადებში. როგორც უკვე აღინიშნა მოვაჭრის მხრიდან არ ხდება საქონლის მიწოდება შეთანხმებულ ვადებში და 7 შემთხვევაში შეკვეთა საერთოდ არ მიუღიათ მომხმარებლებს, რაც ქონებრივ ზიანს აყენებს მათ. აღსანიშნავია, რომ მითითებულ ვადაში მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. გარდა ამისა, სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ შემოწმებულ იქნა მოვაჭრის სავაჭრო ფეისბუქ გვერდი, რის შედეგადაც დადგინდა, რომ არ იყო განთავსებული სავაჭრო პოლიტიკა, ხოლო რაც შეეხება იმ მომხმარებელთა უფლებების აღდგენას, რომელთაც მოვაჭრის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად უფლებები დაერღვათ, მოვაჭრეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება რომლითაც დადგინდებოდა მომხმარებელებისთვის დარღვეული უფლებების აღდგენის ფაქტი. აღნიშნული ადასტურებს, რომ მოვაჭრე აგრძელებს კანონის დარღვევით კომერციულ საქმიანობას, რომელიც სავარაუდო ქონებრივ ზიანს აყენებს მომხმარებლებს. სააგენტოს შეფასებით და სააგენტოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ შპს „დილსი“(ს/ნ 442264292) მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით.

4. მოვაჭრე შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიერ დარღვევის ჩადენის **ხანგრძლივობის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს რამდენ ხანს გრძელდებოდა კანონსაწინააღმდეგო მოქმედება (ან უმოქმედობა). სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებებიდან დგინდება, რომ მოვაჭრის კანონის შეუსაბამო ქმედებები ხორციელდებოდა 2022 წლის 13 ივნისიდან

2023 წლის 12 იანვრის ჩათვლით პერიოდში (პერიოდის გამოთვლა განხორციელდა სააგენტოში წარმოდგენილი 10 განცხადების საფუძველზე).

მოვაჭრე შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიერ კანონის **დარღვევის ფაქტების სხვა გარემოებების** შეფასებისას, ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) მოვაჭრემ სცადა თუ არა სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება; ბ) მოვაჭრემ მიიღო თუ არა ზომები დარღვევის გამოსწორების მიზნით; გ) საქმის შესწავლის დროს სააგენტოსთან თანამშრომლობა; დ) მოვაჭრის ქცევა, რომლის დროსაც იგი ცდილობს მტკიცებულებების მოსპობას ან აქტიური ქმედებებით სააგენტოსთვის საქმის შესწავლის პროცესში შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლას; ე) მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის მრავალჯერადობა. რაც შეეხება მოვაჭრემ სცადა თუ არა სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება და მოვაჭრემ მიიღო თუ არა ზომები დარღვევის გამოსწორების მიზნით მტკიცებულებებითა და სააგენტოს მიერ მოვაჭრის სავაჭრო გვერდების გადამოწმებით დასტურდება, რომ შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიერ არ განხორციელებულა კანონის მოთხოვნების შესრულება, კერძოდ, მოვაჭრემ არ განათავსა სავაჭრო გვერდზე წესები და პირობები. ასევე მომხმარებლებისთვის დარღვეული უფლებები არ აღუდგენია. (აღნიშნულის დამდასატურებელი მტკიცებულებები სააგენტოს მიერ მოთხოვნილ ვადაში არ წარმოუდგენია). რაც შეეხება მოვაჭრის შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) საქმის შესწავლის დროს სააგენტოსთან თანამშრომლობას, აღსანიშნავია, რომ მომხმარებლების განცხადებების რეგისტრაციის მომენტიდან, სააგენტომ არაერთხელ გამოითხოვა წერილობით ინფორმაცია და პოზიცია მოვაჭრისგან, ასევე არაერთხელ სცადა სატელეფონო კომუნიკაცია მოვაჭრესთან განცხადებებში მითითებულ სატელეფონო ნომრებზე. შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) დირექტორს ნათია სიჭინავას განემარტა, რომ გამოცხადებულიყო საქმის მასალების გაცნობის და პოზიციის წარმოდგენის მიზნით სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში (მის: დავით აღმაშენებლის გამზირი №154-ში, მე-9 სართულზე), თუმცაღა არ გამოცხადებულა. შპს „დილსი“-ს (ს/ნ 442264292) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე სააგენტოს მხრიდან დაწყებული საქმის შესწავლის შესახებ არაერთხელ ეცნობა შპს „დილსი“-ს (ს/ნ 442264292) სარეგისტრაციო დოკუმენტებში (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერში) მითითებულ

მისამართსა და ელექტრონული ფოსტის მისამართზე (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ.ლესიჭინე 56-ე ქ.N7, ელ-ფოსტა: natiasichi000@gmail.com), აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს - სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით, მაგრამ სააგენტოს წერილების ჩაბარება ვერცერთი საშუალებით ვერ მოხერხდა. სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს საქმისწარმოების მასალები გაეგზავნა სააგენტოსთვის ცნობილ სხვა მისამართზეც. მოვაჭრემ, ნათია სიჭინავამ თავისი ელ-ფოსტიდან natiasichi000@gmail.com, სსიპ - კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის ელ-ფოსტაზე: consumer@gnca.gov.ge გამოაგზავნა მისამართი, სადაც სააგენტო შეძლებდა მოვაჭრისათვის წარმოების მასალების გაგზავნას, თუმცა, სააგენტოს მცდელობის მიუხედავად, ჩაბარება ვერც ამ მისამართზე მოხერხდა. ყოველივე ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით დგინდება, რომ მოვაჭრე შპს „დილსი“ (ს/ნ 442264292) არ თანამშრომლობს სააგენტოსთან სავაჭრო პოლიტიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. რაც შეეხება მოვაჭრის მიერ დარღვევის **ჩადენის მრავალჯერადობას,** აღსანიშნავია, რომ სააგენტომ შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიმართ დარღვევის დადასტურების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო 10 (ათი) განცხადების საფუძველზე, და განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს დისტანციურად და შეკვეთას აგზავნის კურიერის მეშვეობით მხარეების მიერ შეთანხმებულ ვადებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თუმცაღა მოვაჭრემ 3 მომხმარებელს ვადის დაგვიანებითა და ხელშეკრულების შეუსაბამო საქონელი მიაწოდა, ხოლო 7 შემთხვევაში შეკვეთის მიწოდება საერთოდ არ მომხდარა. მომხმარებლების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოვაჭრე არ ახორციელებს კომერციულ საქმიანობას „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) დასაკისრებელი ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობა უნდა განისაზღვროს 736 ლარითა და 55 თეთრით, რაც წარმოადგენს შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) 2022 წლის წლიური ბრუნვის ღარის და თეთრის ⅙-ს.

5. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-5, მე-6, მე-7 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-18 მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტების, მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. დადასტურდეს შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიერ სააგენტოს გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.
2. შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) დაეკისროს ჯარიმა 736 ლარი და 55 თეთრის ოდენობით.
3. მოვაჭრე ვალდებულია, ჯარიმა გადაიხადოს ამ ბრძანების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.
4. ჯარიმა გადაიხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
5. ჯარიმის დაკისრება მოვაჭრეს არ ათავისუფლებს სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან.
6. ბრძანება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);
8. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე